



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი



KA990108733511818

№02/18

24 / აპრილი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით დირეზული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი
დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის
51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის
მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის
გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების
პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების
დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების
მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის
ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და
სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების
განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გამოქვეყნებიდან ერთი
თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ.
თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4) .

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters. The signature is written in a cursive style, with the first letter being a large 'ს' (S) and the second being a 'მ' (M). The rest of the signature is more fluid and less legible.

დავით ლომიჭაშვილი

დანართი

ბრძანება N02/18; 24.04.2018წ.

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		<p>პავილიონი / ავტობუსის გაჩერება</p>	<p>ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტეზერი (ს.კ. 69.11.56.231)</p>	<p>არქიტექტურის / საინჟინრო / მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი</p>	<p>XX საუკუნის 70- იანი წლები (საბჭოთა მოდერნიზმი)</p>
2.		<p>პავილიონი / ავტობუსის გაჩერება</p>	<p>მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა ქანდა (ს/კ 72.09.49.217 – მომიჯნავედ)</p>	<p>არქიტექტურის / საინჟინრო / მონუმენტური სახვითი ხელოვნების / მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი</p>	<p>XX საუკუნის 70- იანი წლები (საბჭოთა მოდერნიზმი)</p>